



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №56

2018 წელი 28 სექტემბერი

ქ.ბათუმი

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის №22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის №22 განკარგულებაში და განკარგულებით დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით (იხ.დანართი №1)
2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურმა უზრუნველყოს 2018 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამა.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე